სახელმწიფო დახმარება, რომელიც საჭიროებს შეთანხმებას კონკურენციის სააგენტოსთან

„კონკურენციის შესახებ" კანონით სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება *(რეგლამენტირებულია კანონის მე—12 მუხლის მე—3 პუნქტით)*, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა:

- გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;
- კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

რა ხდება იმ შემთხვევაში თუ:

უკვე გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ბაზარზე კონკურენციას?

ან/და

დარღვეულია კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურასთან დაკავშირებით?

აღნიშნულ შემთხვევაში, პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი, შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს გაცემული სახელმწიფო დახმარება.

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net

EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

სახელმწიფო დახმარებები და კონკურენციული პოლიტიკა

ნათია კუტივაძე
ეკონომიკის დოქტორი

2014 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კონკურენციის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის მარეგულირებელი წესები.

კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით რეგლამენტირებულია სპეციალური წესები, რომელთა მიზანია აიკრძალოს/აღმოიფხვრას შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიის) გაცემის ფორმით.

სახელმწიფო დახმარებების გაცემის კონტროლი აუცილებელია იმისათვის, რომ ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცულ იქნეს თანასწორ უფლებიანობის პრინციპი და ხელისუფლების ორგანოები არ ახდენდნენ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაწესებას და კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას.

„კონკურენციის შესახებ" კანონის მიზნებისათვის „სახელმწიფო დახმარება"(სუბსიდია) განმარტებულია, როგორც — *ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს:*

- გადასახადისაგან გათავისუფლებას;
- გადასახადის შემცირებას ან გადავადებას;
- ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურიზაციას;
- სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას;
- საოპერაციო აქტივების გადაცემას;
- ფულადი დახმარების გაწევას;
- მოგების მიღების გარანტიის მიცემას;
- შეღავათების მინიჭებას

(ამ ნაწილში გათვალისწინებული უფლების მინიჭებად არ განიხილება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვა) და სხვა.

„კონკურენციის შესახებ" კანონით იკრძალება

ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამავე კანონით *(მე—12 მუხლის მე-2 პუნქტით)* გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

სახელმწიფო დახმარების გაცემისას დაცული უნდა იყოს არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

კონკურენციის სააგენტოს კანონით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაადგინოს გასაცემი სახელმწიფო დახმარების კანონის დებულებებთან შესაბამისობა და გასცეს სამართლებრივი დასკვნა.

კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო დახმარების გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

სახელმწიფო დახმარების სახეები

„კონკურენციის შესახებ" კანონით რეგლამენტირებულია სახელმწიფო დახმარების შემდეგი სახეები:

- ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა *(ე.წ. de minimis aid);*
- სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას;
- სახელმწიფო დახმარება, რომელიც საჭიროებს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას.

ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა

იმ შემთხვევაში, როდესაც გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა, „კონკურენციის შესახებ" კანონით არ ხდება სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის გამოყენება.

ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების მინიმალურ ოდენობად მიიჩნევა *(რეგლამენტირებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N529 დადგენილებით):*

- სახელმწიფო დახმარებები, რომელთა მოცულობა ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 400 000 ლარს, გარდა სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის და სოფლის მეურნეობის სფეროებისა;
- სახელმწიფო დახმარებები, რომელთა მოცულობა სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს;
- სახელმწიფო დახმარებები, რომელთა მოცულობა სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს.

სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს შეთანხმებას კონკურენციის სააგენტოსთან

„კონკურენციის შესახებ" კანონით *(რეგლამენტირებულია კანონის მე—12 მუხლის მე—2 პუნქტით)* შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

- გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;
- მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;
- მიზნად ისახავს გარემოს დაცვითი ღონისძიების განხორციელებას;
- მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;
- მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.